

ეკონომიკა კოჰაბიტაციას ემსხვერპლა

გაზეთი “ყველა სიახლე” – 12-18 ივნისი, № 24, 2013

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე საუბრისას ორი ურთიერთსაპირისპირო მოსაზრება იკვეთება: „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი მომხრეები ამტკიცებენ, რომ ეკონომიკაში უკიდურესად მძიმე ვითარებაა, ახალი მთავრობის წარმომადგენლები კი გვაჯერებენ, რომ საქართველოს ეკონომიკა ნელა, მაგრამ სტაბილურად ვითარდება. სწორედ ამ პრობლემის შესახებ ვთხოვეთ კომენტარი აკადემიკოს ლადო პაპავას:

– შემიძლია გითხრა, რომ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი არ არის, მაგრამ ვითარება საკმაოდ რთულია. თუნდაც იმიტომ, რომ 2012 წლის დეკემბერში ეკონომიკის ვარდნა დაფიქსირდა, მაგრამ ერთთვის ვარდნა ეკონომისტებისათვის სულაც არ ნიშნავს კრიზისს, კრიზისად ითვლება სიტუაცია, როდესაც ვარდნას ადგილი აქვს უწყვეტად, სულ ცოტა, ორი კვარტლის განმავლობაში. ასეთი რამ დღის მადლით, საქართველოს ეკონომიკაში არ აღნიშნულა. თუმცა, ზრდის ტემპები მართლაც შემცირებულა: მაგალითად, მარტში ზრდის ტემპი იყო 0,2 პროცენტი, რაც შესაძლოა ცდომილებაც იყო და არანაირ ზრდას ადგილი არ ჰქონია. ასე რომ, ქართულ ეკონომიკაში სიტუაცია არ არის მარტივი, თუმცა ამ სიტუაციაში კიდევ ერთი პრობლემა იკვეთება. საქმე ის გახლავთ, რომ „ნაციონალებს“, განსაკუთრებით კი ვანო მერაბიშვილს, მორალური უფლება არა აქვთ „ქართული ოცნება“ სტატისტიკაზე დაყრდნობით აკრიტიკონ, იმიტომ, რომ სწორედ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გააკეთა ყველაფერი ჩვენი სტატისტიკის დასანგრევად: სტატისტიკის დეპარტამენტს წაართვეს დაფინანსება, გაუუქმეს შტატები და რეგიონული წარმომადგენლობები, დაასუსტეს, შემდეგ კი წყნეთში გადაისროლეს. შეგახსენებთ 2012 წლის ივლისს, როდესაც ვანო მერაბიშვილი პრემიერ-მინისტრი გახდა და ყველას გასაგონად თქვა, რომ მას სტატისტიკა საერთოდ არ აინტერესებს. გაგივიათ რომელიმე ქვეყანაში პრემიერ-მინისტრს სტატისტიკა არ აინტერესებდეს? – ეს კიდევ ერთი „ნაციონალური“ კურიოზია? მაგრამ როგორც კი ოპოზიციაში აღმოჩნდა, მაშინვე დაიწყო მთავრობის კრიტიკა

სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით. აქედანაც კარგად ჩანს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ სულაც არ არის სერიოზული პოლიტიკური ძალა, თანაც ამ პარტიაში, მოწინავე პოსტებზე ჯერ კიდევ „მოღვაწეობენ“ კრიმინალები და მე ვერ აღვიქვამ მათ, როგორც ოპოზიციურ ძალას, ამიტომ არც მათ შეფასებებს ვუწევ ანგარიშს. ჩვენს სტატისტიკას კი მართლაც სჭირდება მიხედვა და ყურადღება ახალი მთავრობის მხრიდან. მართალია, ფინანსთა სამინისტროს ეგიდით ერთი შეხვედრა კი გაიმართა ექსპერტების მონაწილეობით, სადაც სტატისტიკის პრობლემებზე ვიმსჯელეთ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. მე არა მაქვს განცდა, რომ მთავრობამ ბოლომდე გაიაზრა სტატისტიკის წინაშე არსებული პრობლემები და ამ სფეროს მნიშვნელობა. ჯერ-ჯერობით, ვერა და ვერ მოხერხდა სტატისტიკის სამსახურის გადმოყვანა წყნეთიდან თბილისში; საჭიროა მათთვის დაფინანსების გაზრდა. ერთი სიტყვით, ამ სფეროში ძალიან ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი.

– ახლა რაც შეეხება ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილ სიტუაციას

– სამწუხაროა, მაგრამ ჩვენი ეკონომიკა აღმოჩნდა პოლიტიკური თანაარსებობის, ე.წ. “კოჰაბიტაციის” მსხვერპლი. არ მინდა გამოვიყენო ეს გაუგებარი სიტყვა, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ ამ პროცესს ეწირება ქართული ეკონომიკაც: თუნდაც ის, რომ პრეზიდენტმა განაცხადა, ოპოზიციაში ვარო და ყველანაირად უშლის ხელს ახალი მთავრობის საქმიანობას. თუნდაც ის, თუ როგორ ჭიანჭურდება ჩვენი ელჩების დანიშვნა, ყოველივე ეს მეტყველებს, რომ პოლიტიკური თანაარსებობა საქართველოში მხოლოდ სიტყვიერ დონეზე ხერხდება და ეს ორი პოლიტიკური ძალა უნისონში უფრო კარგად „მუშაობს“. ბუნებრივია, რომ ამ პირობებში ბიზნესი სულაც არ ჩქარობს გააქტიურებას. ცალკე პრობლემები აქვს „ქართულ ოცნებას“, განსაკუთრებით საკადრო პოლიტიკაში: თითქმის ყველა უწყებაში ძველი კადრებია შემორჩენილი – ეს ის კადრებია, რომლებიც წლების განმავლობაში აფერხებდნენ ქართული ეკონომიკის წინსვლასაც და ევროინტეგრაციასაც. მე არ მესმის, ამ ხალხს, რომელიც არაკომპეტენტურია და წლების განმავლობაში ხელს უშლიდა ყოველგვარ განვითარებას, ახლა რატომ ენდობიან? მე არ მესმის ახალი მინისტრები რატომ არ ცვლიან ასეთ კადრებს, რატომ არ ატარებენ ატესტაციას, ან რატომ არ სურთ ახალი კადრების გამოვლენა, რომლებიც უფრო მეტს შეძლებდნენ, თუ ქვეყნის სამსახურში უფრო აქტიურად ჩადგებოდნენ? ამ და სხვა მიზეზების გამო მე

ძალიან მიჭირს თქმა, რომ დღეს საქართველოს ეკონომიკაში რაღაც სასიკეთო ხდება. მინდა ხდებოდეს, მაგრამ არ ვიცი რა ჩამოვთვალო. ის ხალხი, რომელიც დღეს ამ სფეროშია დაკავებული, ქართული ეკონომიკისათვის სასიკეთოს არაფერს აკეთებს, „ქართული ოცნება“ კი მათ არ ცვლის, რატომ? – ეს ჩემთვის გაუგებარია.

– თქვენ ამბობთ, რომ ქვეყანაში ინსტიტუციური საკითხებიც მოუგვარებელია.

– სამწუხაროდ, ასეა. პრემიერ-მინისტრი არჩევნების შემდეგ შეხვდა ბიზნესმენებს და უთხრა – თავისუფლები ხართ, თქვენს ბიზნესში არავინ ჩაერვეაო. ეს ძალიან კარგია, მაგრამ საკმარისი არ არის. პრემიერ-მინისტრი მეფე ხომ არ არის, რომ მის სიტყვას მეფის სიტყვის ოდენი ძალა ჰქონდეს? სად არის კანონი ანტიმონოპოლიური რეგულირების შესახებ? – მე როგორც ვიცი, კანონპროექტი თებერვალში უკვე მზად იყო, მაგრამ რატომ ჭიანჭურდება მისი გადაგზავნა ეკონომიკის სამინისტროდან პარლამენტში? ითქვა, რომ შემოდგომაზე მიიღებენ, მაგრამ შემოდგომაზე პარლამენტში არდადეგები იქნება იმიტომ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებია, ანუ 2013 წლის ბოლომდე ქვეყანა კვლავ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის გარეშე იქნება და რა გამოვიდა? – ყველაფერი პრემიერ-მინისტრის კეთილ სიტყვაზეა დამოკიდებული? როდესაც ქვეყანაში ანტიმონოპოლიური რეგულირება არ არსებობს, ეს ყველასათვის ცუდია. ამას ემატება ბუნდოვანი გამონათქვამები, რომლებიც სულაც არ იძლევა იმედისმომცემ აღქმას ქვეყნის ეკონომიკაში არსებული სიტუაციის შესახებ: ჯერ იყო და, პრემიერ-მინისტრმა ეჭვი შეიტანა ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის აუცილებლობაში, მერე მოიწონა, ჯერ თქვა, რომ უნდა გაისსნას ტრანსკავკასიური რკინიგზა, მერე კი თქვა, რომ ამ საკითხს სერიოზული შესწავლა სჭირდება, ჯერ იყო და, მოიწონა სომხეთის საგარეო პოლიტიკა, კრიტიკის შემდეგ კი თქვა – კარგად ვერ გამიგეთო. ამგვარი, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები საზოგადოებას ძალიან აბნევს. ახლა რა ხდება შრომის კანონმდებლობასთან დაკავშირებით? – ჯერ გაცხადდა, რომ შრომის კოდექსის ის პროექტი, რომელიც იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა, თურმე როზა ლუქსემბურგის ოცნების ასრულება ყოფილა, ანუ მთავრობამ თვითონვე გააკრიტიკა მის მიერვე მომზადებული კანონი, რომელიც პარლამენტმა პირველივე მოსმენით მიიღო. ასეთი

ბუნდოვანი გამონათქვამები ბიზნესსაც აბნევს და მან აღარ იცის, რა აკეთოს, შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის ტემპი ქვეყანაში შეფერხებულია.

– თქვენ საშინაო პრობლემები ჩამოთვალეთ. ამას ემატება საგარეო ფაქტორიც – თბილისიდან რამდენიმე კილომეტრში რუსული სამხედრო ტექნიკა დგას, რაც ბიზნესს ნამდვილად არ უქმნის სტაბილურობის განცდას.

– დიას, არ მთავრდება საფრთხის შემცველი დაპირისპირება მოსკოვსა და თბილისს შორის და ბუნებრივია, ბიზნესიც ფრთხილობს. ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებულია, საფრთხე არის როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოშიც. მართალია, მე არ მიმაჩნია, რომ რუსები ფართომასშტაბიან ოპერაციას დაიწყებენ, მაგრამ საფრთხის განცდას მაინც ქმნიან. ბიზნესი კი, როგორც წესი, დაძაბულობას უფრთხის. სულ ახლახან გადმოსწიეს საზღვარი და პრემიერ-მინისტრმა გულწრფელად აღიარა, რომ ის მოსკოვიდან ამას არ ელოდა, მაგრამ ფაქტია, რომ ასე მოხდა. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ იკვეთება სასიკეთო ტენდენციაც – თუ რუსული ბაზარი გაიხსნება, ეს ხელს შეუწყობს ქართული პროდუქციის ექსპორტის ზრდას, რაც ძალიან კარგია. მართალია, ეს პროცესი ნელა მიდის, მაგრამ რაც უნდა იყოს, რუსული ბაზრის გახსნას მე წინგადადგმულ ნაბიჯად მივიჩნევ და ვფიქრობ, რომ ეს დადებითი პროცესია.

ესაუბრა ხათუნა ჩიგოგიძე